ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1937320

ნომერი: AR1315499

თარიღი : 03.06.2015

გაცემის თარიღი : 22.06.2015

გაცნობის თარიღი : 22.06.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ.მტკვრის მარჯვენა , სანაპიროსა და კოსტავას , I შესახვევი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი გიორგაძე პ/ნ 01017008285
- თბილისი ე.გაბაშვილის ქ. N 14

ორგანიზაცია:
- შპს ,,სი-ენ-ჯი" კოდი: 405037213

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - გაზგასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

2015 წლის 03 ივნისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR1315499 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი გიორგაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით #01.15.03.004.017),

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის – ავტოგაზგასამართი სადგურის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებოდ გამოყენების აპირობების მომზადება.

მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტია(კ-1) – 0.2.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ავტოგაზგასამართი სადგურის ფუნქციით არ არის დაშვებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე გიორგი გიორგაძეს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით #01.15.03.004.017), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის – ავტოგაზგასამართი სადგურის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებოდ გამოყენების აპირობების მომზადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.